სსიპ საპენსიო სააგენტო
2021 წლის პირველი 6 თვის მიმოხილვა

წინამდებარე მიმოხილვა აღწერს 2021 წლის პირველი 6 თვის განმავლობაში საპენსიო სააგენტოს მიერ გაწეულ საქმიანობას და განხორციელებულ ღონისძიებებს, ასევე, მოიცავს დაგროვებითი საპენსიო სქემისათვის მნიშვნელოვან ძირითად სტატისტიკურ მონაცემებს.

1. საოპერაციო საქმიანობა

1.1. დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწევრიანების სტატისტიკა

„დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწევრება სავალდებულოა ყველა დასაქმებულისთვის, გარდა იმ დასაქმებულისა, რომელსაც ამ კანონის ამოქმედებამდე შეუსრულდა 60 წელი (ქალის შემთხვევაში – 55 წელი).

კანონისა და საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 30 ივლისის N002 ბრძანებით დამტკიცებული „საპენსიო შენატანების გადახდის წესების, ინფორმაციის წარდგენის ფორმების, ზედმეტად გადახდილი თანხების ადმინისტრირების, ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე საპენსიო შენატანების, ხარჯის, ნამეტი შემოსავლის, დანაკარგის, სხვა შემოსავლის, ამონაგებისა და ზარალის დარიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ თანახმად, 2021 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით პერიოდში საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში დარეგისტრირდა 5,809 დამსაქმებელი და გაწევრიანებულ იქნა 60,143 დასაქმებული.

შედეგად 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწევრიანებულ დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენდა 1,166,737-ს.

1.2. სააგენტოს საოპერაციო საქმიანობა, შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის, ნორმატიული აქტების შემუშავება და დამტკიცება

საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში, დამსაქმებლების სამუშაო გვერდზე დაემატა საბალანსო თანხის დაბრუნების და შეცდომით გაწევრიანებული დასაქმებულის სქემიდან ამორთვის ფუნქციონალები;

საანგარიშო პერიოდში დაიწყო დამსაქმებლების მიერ ელექტრონული სისტემის მეშვეობით შექმნილი და წარდგენილი მაკორექტირებელი დეკლარაციების შერჩევითი კონტროლი ცალკეული კრიტერიუმების გათვალისწინებით;

საპენსიო სააგენტოს ნომინალური მფლობელობის ანგარიშებზე განხორციელებული ჩარიცხვების შესახებ კომერციული ბანკების მიერ პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით ინფორმაციის მოწოდების მიზნით ბანკებთან გაფორმდა დამატებითი შეთანხმებები ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებებში საპენსიო სააგენტოს მხრიდან მოთხოვნილი ცვლილებების თაობაზე.

საანგარიშო პერიოდში ყველა სტრუქტურული ერთეულის მონაწილეობით შემუშავებულ იქნა საპენსიო სააგენტოს დირექტორის N002 ბრძანებით დამტკიცებული “საპენსიო შენატანების გადახდის წესების, ინფორმაციის წარდგენის ფორმების, ზედმეტად გადახდილი თანხების ადმინისტრირების, ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე საპენსიო შენატანების, ხარჯის, ნამეტი შემოსავლის, დანაკარგის, სხვა შემოსავლის, ამონაგებისა და ზარალის დარიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის განახლებული რედაქცია. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ტექნიკური სამუშაოები, რომელთა შესრულებაც აუცილებელია ინსტრუქციის დამტკიცებამდე. საქართველოს მთავრობის

2021 წლის 25 აგვისტოს №426 დადგენილების საფუძველზე შეტანილ იქნა ცვლილებები საპენსიო სააგენტოს დებულებაში, რომლითაც, დებულებაში აისახა რისკების მართვის ჩარჩო რომელიც ეფუძნება დაცვის სამ ხაზს და ასევე გაიწერა რისკის მთავარი ოფიცრისა და რისკების კონტროლის დეპარტამენტის კომპეტენცია და ფუნქცია-მოვალეობები სააგენტოს საინვესტიციო და საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირებისა და მართვასთან დაკავშირებით. ამასთან დებულებაში შეტანილ იქნა სხვა ცვლილებებიც, რომელთა დარეგულირების აუცილებლობა გამოიკვეთა პრაქტიკაში.

საპენსიო სააგენტომ აწარმოა მოლაპარაკებები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურთან, სააგენტოს საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემასა და სახაზინო სამსახურის სისტემას შორის სერვისების გაუმჯობესებისა და გამართვისთვის, შესაბამისად მომზადდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი რომელიც უახლოეს პერიოდში გაფორმდება.

1.3. ნომინალური მფლობელობის ანგარიშების მართვა და საპენსიო შენატანებზე სარგებლის დარიცხვა

საანგარიშო პერიოდში საპენსიო სააგენტოს გახსნილი ჰქონდა ნომინალური მფლობელობის ანგარიშები საქართველოს 10 (ათი) კომერციულ ბანკში, ასევე საქართველოს ეროვნულ ბანკში. ნომინალური მფლობელობის ანგარიშებზე არსებულ თანხებზე საანგარიშო პერიოდში დარიცხული ნომინალური საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 8.00 პროცენტიდან - 9.60 პროცენტამდე და აღნიშნულ პერიოდში დარიცხული საპროცენტო სარგებლის ოდენობამ შეადგინა 18,243,117.18 ლარი.

1.4. დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გასვლის პროცესის მართვა

კანონისა და საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 27 მაისის N001 ბრძანებით დამტკიცებული „დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გასვლის, საპენსიო შენატანების და ამ შენატანებთან დაკავშირებული საინვესტიციო ან/და სხვა შემოსავლის დაბრუნებისა და ხელახლა გაწევრიანების წესის“ თანახმად, დასაქმებული, რომელსაც კანონის ამოქმედებამდე (2018 წლის 6 აგვისტომდე) შეუსრულდა 40 წელი და რომელსაც არ სურს იყოს მონაწილე, უფლებამოსილია, ამ კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად, გავიდეს დაგროვებითი საპენსიო სქემიდან, საპენსიო სააგენტოს მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად, სააგენტოსთვის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, დაგროვებით საპენსიო სქემაში, სავალდებულო წესით, ავტომატურად გაწევრებიდან 5 თვის ვადაში, მაგრამ არაუადრეს გაწევრებიდან 3 თვისა.

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, საპენსიო სააგენტოს არ გააჩნია ტერიტორიული ერთეულები და ის საქმიანობას ახორციელებს მხოლოდ ერთ მისამართზე (თბილისი, ნ.ყიფშიძის ქ. N7ბ) მდებარე ადმინისტრაციულ ოფისში.

საპენსიო სქემიდან გასვლის მსურველი უფლებამოსილი დასაქმებულებისათვის წერილობითი განცხადებებით მიმართვის შესაძლებლობის გეოგრაფიული გაფართოების აუცილებლობიდან გამომდინარე, საპენსიო სააგენტო კვლავ სარგებლობდა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 69 ტერიტორიული ერთეულის დახმარებით, საპენსიო სააგენტოსა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში. 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 30 ივნისის ჩათვლით პერიოდში 1,007 დასაქმებულმა ისარგებლა დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გასვლის უფლებით. დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გასული დასაქმებულებიდან აღნიშნულ პერიოდში სქემაში ხელახლა გაწევრიანდა 158 დასაქმებული.

1.5. პენსიებისა და საპენსიო აქტივების გაცემა

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საპენსიო სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა პენსიის დანიშვნისა და საპენსიო აქტივების გადაცემის შესახებ 423 განცხადება, მათ შორის: 135 განცხადება საპენსიო ასაკის მიღწევის გამო პენსიის დანიშვნის თაობაზე; 144 განცხადება შესაძლებლობის შეზღუდვის გამო პენსიის დანიშვნის თაობაზე; 7 განცხადება საქართველოს სამუდამოდ დატოვების გამო პენსიის დანიშვნის თაობაზე და 137 განცხადება მემკვიდრის მიერ გარდაცვლილი მონაწილის საპენსიო აქტივების მიღების თაობაზე.

მიღებული განცხადებებიდან დაკმაყოფილებულ იქნა 281 განცხადება და საანგარიშო პერიოდში გაცემული პენსიისა და საპენსიო აქტივების ჯამურმა ოდენობამ შეადგინა 546,851.63 ლარი.

1.6. დასაქმებულებისათვის დამატებით სერვისების შემუშავება და დანერგვა

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საპენსიო სააგენტოსა და ცალკეულ კომერციულ ბანკებს შორის გაფორმებულ იქნა მემორანდუმები, რომელთა ფარგლებშიც, ბანკების მიერ, მოხდა ინტერნეტ ბანკში და მობაილ ბანკში დამატებითი ფუნქციონალის დამატება, რომლის მეშვეობით დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეების თანხმობით ხდება მათთვის საპენსიო შენატანების ჯამური ოდენობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. მიმდინარეობს მუშაობა საჯარო რეესტრთან ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე.

2. საინვესტიციო საქმიანობა

2.1. საინვესტიციო საბჭოს საქმიანობა

2021 წლის პირველ ნახევარში საინვესტიციო საბჭო დაკომპლექტებული იყო 4 წევრით: ოლივიერ რუსო (თავმჯდომარე), ჟან-ფრედერიკ პოლსენი (თავმჯდომარის მოადგილე), მაიკლ რიდლი და ტიმო ვიჰერკენტა. აღსანიშნავია, რომ კანონის მიხედვით, საინვესტიციო საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ საინვესტიციო საბჭოს სხდომას ესწრება საინვესტიციო საბჭოს არანაკლებ 3 წევრი.

საინვესტიციო საბჭომ 2021 წლის პირველ ნახევარში გამართა 4 სხდომა, ოთხივე დისტანციურად, პანდემიით გამოწვეული გადაადგილების შეზღუდვის გამო.

2.2. უფროსი საინვესტიციო ოფიცერი და საინვესტიციო სამსახურის საქმიანობა

2021 წლის პირველ ნახევარში საინვესტიციო სამსახური მისი ძირითადი საინვესტიციო მანდატის განხორციელების პარალელურად აქტიურად მუშაობდა საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული წესების, პოლიტიკების, პროცესებისა და პროცედურების შემუშავებაზე. საინვესტიციო საბჭოსთან მჭიდრო კოორდინაციით შეიქმნა საპენსიო აქტივების შეფასების ჩარჩო დოკუმენტის, აქტივების განთავსების სტრატეგიის ჩარჩო დოკუმენტის და პასუხისმგებლიანი ინვესტიციების პოლიტიკის დოკუმენტის პროექტები, რომელთა დამტკიცებაც შესაბამისი წესების დაცვით იგეგმება მომდევნო პერიოდში. საანგარიშო პერიოდში აგრეთვე მიმდინარეობდა აქტივების განთავსების სტრატეგიის დავალების სამუშაოები, ჩამოყალიბდა მაკროეკონომიკური და საბანკო სექტორის ანალიზის პროცესი, რასაც საინვესტიციო სამსახური და საინვესტიციო საბჭო აქტიურად იყენებენ საქმიანობაში.

2.3. საინვესტიციო გადაწყვეტილებები

2021 წლის პირველი 6 თვის განმავლობაში საინვესტიციო სამსახური აქტიურად განიხილავდა სხვადასხვა საინვესტიციო შესაძლებლობებს ქართულ კომერციულ ბანკებთან, რომლებიც აკმაყოფილებენ საკრედიტო რისკის და სხვა მინიმალურ მოთხოვნებს. 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით საინვესტიციო აქტივების მოცულობა შეადგენდა 1,548,282,942 ლარს და

განთავსებული იყო 8 ქართულ კომერციულ ბანკში: 70.3% სადეპოზიტო სერტიფიკატებსა და ვადიან ანაბრებში, რომელთაც ერიცხებათ ფიქსირებული სარგებელი, ხოლო 29.7% სარგებლიან მიმდინარე ანგარიშებზე, რომლებსაც ერიცხება ცვლადი სარგებელი. აქტივების განაწილება აკმაყოფილებდა დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონითა და საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტით დადგენილ ლიმიტებს, მათ შორის: საკრედიტო რეიტინგის, ბანკის საერთო კაპიტალისა და კონცენტრაციის შეზღუდვებს. საშუალო შეწონილი წლიური ეფექტური სარგებელი შეადგენდა 11.15%-ს. სადეპოზიტო სერტიფიკატებისა და ვადიანი ანაბრების საშუალო შეწონილი ვადიანობა შეადგენდა 2.49 წელს, ხოლო სრული პორტფელის საშუალო შეწონილი ვადიანობა (სარგებლიანი მიმდინარე ანგარიშის გათვალისწინებით) 1.70 წელს. საპენსიო ფონდის მომგებიანობა 2019 წლის 1-ლი იანვრიდან 2021 წლის 30 ივნისამდე შეადგენდა 24.5%-ს, ამავე პერიოდში ინფლაციის ცვლილება შეადგენდა 17.8%-ს, ხოლო ლარის კურსის ცვლილება აშშ დოლართან მიმართებაში 18.24%-ს.

2021 წლის პირველ ნახევარში საინვესტიციო სამსახურმა შეიძინა სულ 10 ახალი სადეპოზიტო სერტიფიკატი და ვადიანი ანაბარი, ჯამური მოცულობით 288,200,451 ლარი. საინვესტიციო გადაწყვეტილებების ძირითადი რაციონალი მდგომარეობდა შემდეგში: ვისარგებლეთ ბაზარზე არსებული მზარდი საპროცენტო განაკვეთებით და გრძელ ვადაში დავიჭირეთ მაღალი, ფიქსირებული განაკვეთები, ხოლო მიმდინარე სარგებლიან ანგარიშებზე შევინარჩუნეთ ცვლადი, რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული საპროცენტო განაკვეთები, რომელიც გარკვეულწილად დააზღვევდა მზარდ ინფლაციურ ფონს. 30 ივნისის მდგომარეობით აქტივების 83% განთავსებული იყო "BB-" რეიტინგის მქონე ბანკებში, 8% "B+" რეიტინგის ბანკებში, ხოლო აქტივების 4%, 3% და 2% განთავსებული იყო შესაბამისად "BB+", "BB" და "B" რეიტინგის ბანკებში. რეგულაციიდან გამომდინარე, საპენსიო ფონდი თანხების ინვესტირებას არ ახორციელებს ურეიტინგო ბანკებში.

2.4. სპეციალიზებული დეპოზიტარის შერჩევის პროცესი

სპეციალიზებულ დეპოზიტარის კონკურსის პირობების შესაბამისად, უპირატესი პრედენდენტის დასახელების შემდეგ, დაიწყო კონკურსის მომდევნო ეტაპი რაც გულისხმობდა საპენსიო სააგენტოსა და სპეციალიზებულ დეპოზიტარს შორის გასაფორმებელ დეპოზიტარულ ხელშეკრულების პირობებზე მოლაპარაკებას. შესაბამისად, 2021 წლის იანვარში, საპენსიო სააგენტომ და უპირატესმა პრეტენდენტმა დაიწყეს აქტიური მოლაპარაკებები აღნიშნული ხელშეკრულების დეტალურ პირობებზე. დაგროვებითი საპენსიო სქემის სპეციალიზებული დეპოზიტარის მარეგულირებელი წესის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, უპირატესი პრეტენდენტი ვალდებულია საპენსიო სააგენტოსთან გასაფორმებელი დეპოზიტარული მომსახურების ხელშეკრულების პირობები წინასწარ შეათანხმოს საქართველოს ეროვნულ ბანკთან. შესაბამისად, მარტის დასაწყისში აღნიშნული ხელშეკრულების პროექტი გადაგზავნილ იქნა საქართველოს ეროვნულ ბანკთან განსახილველად. ეროვნულმა ბანკმა განიხილა ხელშეკრულების პროექტი და აპრილის თვეში, მოლაპარაკების ორივე მხარემ მიიღო მათი კომენტარები. ეროვნული ბანკისგან მიღებული უკუკავშირის შემდეგ, მოლაპარაკების პროცესი განახლდა და გაგრძელდა ხელშეკრულებაზე მუშაობა რათა მომხდარიყო სებ-ის კომენტარების გათვალისწინება და ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილებების ასახვა.

2.5 საინვესტიციო სამსახურის სტრუქტურა

კანონისა და სააგენტოს დებულების თანახმად, უფროსი საინვესტიციო ოფიცერი და საინვესტიციო საბჭო შეიმუშავებენ ისეთ ორგანიზაციულ სტრუქტურას, რომელიც უზრუნველყოფს საინვესტიციო სამსახურში ადეკვატური შიდა კონტროლის მექანიზმების არსებობას. შესაბამისად, საინვესტიციო საბჭოსთან შეთანხმებით, 2021 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში უფროსი საინვესტიციო ოფიცრის მიერ გრძელდებოდა საინვესტიციო სამსახურის

დაკომპლექტება თანამშრომლებით, საბჭოსთან შეთანხმებული ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოსაყალიბებლად.

3. რისკის კონტროლის სამსახურის საქმიანობა

3.1. საპენსიო სააგენტოს რისკის მართვის ჩარჩო

საპენსიო სააგენტოს „რისკის მართვის ჩარჩო" დოკუმენტის შესაბამისად, რომელიც მოწონებულ იქნა საინვესტიციო საბჭოს N11 ოქმით, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს N16 ოქმით, შეტანილ იქნა ცვლილებები საპენსიო სააგენტოს დებულებაში. შესაბამისად, საპენსიო სააგენტოს რისკის მართვის ორგანიზაციული მოწყობა სრულად შეესაბამება საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტს და მოწყობილია დაცვის სამი ხაზის მოდელის მიხედვით, რომელიც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სააგენტოში რისკების და შიდა კონტროლის მექანიზმების შესახებ ინფორმირებულობას და ხელს უწყობს რისკის მართვის სისტემების ეფექტურობას.

3.2. ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა

რისკების კონტროლის სამსახურმა შეიმუშავა „ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის პოლიტიკის" დოკუმენტი, რომელიც, თავის მხრივ მოწონებულ იქნა საინვესტიციო საბჭოს N 23 ოქმით. მიმდინარე წლის განმავლობაში დოკუმენტი დასამტკიცებლად წარედგინება საპენსიო სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭოს.

ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა განსაზღვრავს საპენსიო სააგენტოს თანამშრომელთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა მიერ ინფორმაციის, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ინფორმაციული სისტემების მოხმარების წესებს, რათა უზრუნველყოფილი იქნას საპენსიო სააგენტოს ყველა ფიზიკური და ელექტრონული ინფორმაციული აქტივის კონფიდენციალურობა, მთლიანობა და ხელმისაწვდომობა.

3.3. საოპერაციო რისკების ანგარიშები

რისკების კონტროლის სამსახურის მიერ, „საოპერაციო, შესაბამისობის და რეპუტაციული რისკების მართვის პოლიტიკის" დოკუმენტის შესაბამისად, შემუშავებული იქნა საოპერაციო რისკების ორი ანგარიში - პირველი, საოპერაციო რისკების 2020 წლის წლიური ანგარიში და მეორე, საოპერაციო რისკების 2021 წლის პირველი კვარტლის ანგარიში. ორივე ანგარიში, მთავარმა რისკის ოფიცერმა, წარუდგინა სააგენტოს მმართველობით ორგანოებს.

საოპერაციო რისკების ანგარიში დეტალურად აღწერს სააგენტოში იდენტიფიცირებული საოპერაციო რისკების წყაროებს, მოვლენებსა და მათ ზეგავლენას სააგენტოს სტრატეგიულ მიზნებზე, ასევე, აღნიშნულ ანგარიშებში მოცემულია რისკების რაოდენობრივი და ხარისხობრივი გაზომვის შედეგები, რომელთა მიხედვითაც, შემდგომ, განისაზღვრება საოპერაციო რისკების პრიორიტეტულობა და რისკის მთავარი ოფიცრის მიერ ხდება შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება. წინამდებარე საოპერაციო ანგარიშებში ჯამურად რისკის კონტროლის სამსახურის მიერ იდენტიფიცირებული იქნა 30 რისკის შემცველი მოვლენა, რომლებზეც შემდგომ რისკის კონტროლის სამსახურმა გასცა 60 დასაბუთებული რეკომენდაცია სააგენტოს მმართველობითი ორგანოებისა და სტრუქტურული ერთეულების მიმართ.

რისკების იდენტიფიცირების პროცესში რისკის კონტროლის დეპარტამენტმა იხელმძღვანელა შემდეგი მეთოდოლოგიებით:

- 2020 და 2021 წლის პირველი კვარტლის განმავლობაში, რისკის კონტროლის დეპარტამენტი ახორციელებდა საპენსიო შენატანების ელექტრონული სისტემის სტატისტიკურ ანალიზსა და მონიტორინგს;
- ჩატარდა როგორც ინდივიდუალური, ასევე გუნდური გასაუბრებები სააგენტოს შემდეგი სტრუქტურულ ერთეულების თანამშრომლებთან ან/და ხელმძღვანელებთან:

იურიდიული დეპარტამენტი, საოპერაციო და ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტები, საინვესტიციო სამსახური, ადმინისტრაციული დეპარტამენტი, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი, მენეჯერული აღრიცხვის ჯგუფი და მონაწილეთა მომსახურების განყოფილება.

- რისკის კონტროლის დეპარტამენტის თანამშრომლების ჩართულობით ინფორმაციული ტექნოლოგიების და საოპერაციო დეპარტამენტების მიერ შემუშავდა სააგენტოში მოქმედი ბიზნეს პროცესების ფორმალიზირებული დოკუმენტები, რის შემდგომაც მოხდა ამ ბიზნეს პროცესების სტრუქტურული ანალიზი;
- 2020 წლის განმავლობაში, საფრანგეთის განვითარების სააგენტოს ტექნიკური მხარდაჭერის ფარგლებში, დარგის ექსპერტების მხრიდან შემუშავდა სააგენტოში მოქმედი ინფორმაციული სისტემების შეფასება;

აღსანიშნავია, რომ საოპერაციო რისკების ანგარიშები ძირითადად მოიცავს საოპერაციო და ინფორმაციული ტექნოლოგიების, ასევე საინვესტიციო სამსახურის საქმიანობების და ბიზნეს პროცესების დეტალურ ანალიზს, ვინაიდან სწორედ აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების საქმიანობები, მათი სტრატეგიული ამოცანებიდან გამომდინარე, ხასიათდება ყველაზე მაღალი პრიორიტეტულობით. თუმცა, ანგარიშში, ასევე ასახულია ის სხვა სტრუქტურული ერთეულების წინაშე არსებული რისკები, რომლებიც სააგენტოს მმართველი ორგანოების მხრიდან საჭიროებს დროულ რეაგირებას.

3.4. ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების ანგარიში

რისკის კონტროლის სამსახურის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს საპენსიო სააგენტოში ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვა „სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO 27001)“ პრინციპების შესაბამისად. 2021 წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

- შემუშავდა ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი;
- შემუშავდა ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვის დოკუმენტი;
- შემუშავდა ინფორმაციული უსაფრთხოების გავრცელების სფეროს დოკუმენტი;
- შემუშავდა ინფორმაციული უსაფრთხოების თანამშრომელთა პასუხისმგებლობებისა და როლების დოკუმენტი;
- შემუშავდა ინფორმაციული აქტივების რეესტრი;
- შემუშავდა ინფორმაციული აქტივების რისკების შეფასების რეესტრი;
- შემუშავდა ინფორმაციული აქტივების რისკების მოპყრობის რეესტრი;
- შემუშავდა კორპორატიული ელექტრონული ფოსტის მართვის დოკუმენტი;
- შემუშავდა თანამშრომელთა პაროლების მართვის პროცედურა;
- შემუშავდა პრივილეგირებული მომხმარებლების პაროლების მართვის პროცედურა;
- შემუშავდა საერთო მოხმარების საქაღალდის მართვის პროცედურა;
- საპენსიო სააგენტოში აქტიურად მიმდინარეობს ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემისთვის აუცილებელი პროგრამული უზრუნველყოფების შესყიდვის პროცესი;
- საპენსიო სააგენტოში აქტიურად მიმდინარეობს ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების ირგვლივ ცნობიერების ამაღლების ტრეინინგები.

3.5. საინვესტიციო რისკების ანგარიში

რისკის კონტროლის სამსახური აქტიურ მონიტორინგს უწევს საინვესტიციო სამსახურის პროცესებს და მათ მიერ განხორციელებულ საინვესტიციო საქმიანობებს, რომელიც ასევე მოიცავს განხორციელებული ინვესტიციების კანონთან და საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტთან შესაბამისობის მონიტორინგს. ასევე, რისკის კონტროლის სამსახურის მიერ მზადდება ყოველთვიური საინვესტიციო რისკების ანგარიში, რომელიც დადგენილი წესით, შემდგომი რეაგირებისათვის, მიეწოდება საინვესტიციო საბჭოს, საინვესტიციო სამსახურსა და

სხვა მმართველობით და მარეგულირებელ ორგანოებს. საინვესტიციო რისკების ყოველთვიური ანგარიში მოიცავს შემთხვევითი და დეტერმინირებული სტატისტიკურ მოდელების გამოყენებით საინვესტიციო პორტფელის და ბენჩმარკ პორტფელის საბაზრო, საკრედიტო, ინფლაციური და აგრეგირებული რისკის დონეების გაზომვას და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას. 2021 წლის მეორე კვარტლის მდგომარეობით რისკების კონტროლის სამსახურის მიერ მომზადდა და დადგენილი წესით, საინვესტიციო საბჭოს წარედგინა საინვესტიციო რისკის 6 ანგარიში.

2021 წლის განმავლობაში რისკის კონტროლის სამსახური, დადგენილი პასუხისმგებლობისა კომპეტენციის ფარგლებში, აქტიურად იყო ჩართული აქტივების განთავსების სტრატეგიისთვის აუცილებელ მოსამზადებელ სამუშაოებში და რისკის კონტროლის სამსახურის ჩართულობით საპენსიო სააგენტოში შეიქმნა აღნიშნული ამოცანის გადასაჭრელად აუცილებელი პროგრამული უზრუნველყოფა. ამასთანავე, რისკის კონტროლის სამსახური აქტიურად მუშაობს საინვესტიციო რისკების კანონთან და საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტთან შესაბამისობის შემოწმებისა და ანალიზის პროგრამული უზრუნველყოფის განვითარებაზე. აღნიშნული პროექტის მიზანიცაა ,საინვესტიციო გადაწყვეტილებების და შესაბამისი რისკის პოზიციები ავტომატიზირებულად რეალურ დროში შეფასება, მონიტორინგი და ანგარიშგება.

4. შიდა აუდიტის სამსახური

შიდა აუდიტის სამსახურმა 2021 წლის გეგმის მიხედვით ჩაატარა საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესის აუდიტი. სააგენტო მართავს რისკებს დაცვის სამი ხაზის მოდელის შესაბამისად. შიდა აუდიტის სამსახურის გაძლიერების მიზნით დამატებულ იქნა უფროსი აუდიტორის საშტატო ერთეული და აყვანილ იქნა შესაბამისი კანდიდატი კონკურსის წესით.

5. საპენსიო სააგენტოს და დაგროვებითი საპენსიო ფონდის ფინანსური ანგარიშგებების დამოუკიდებელი აუდიტორული შემოწმება

საქართველოს პარლამენტის მიერ შერჩეული აუდიტორული კომპანიის KPMG საქართველოს მიერ 2021 წლის 21 მაისს დასრულებულ იქნა საპენსიო სააგენტოსა და საპენსიო ფონდის 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესი და გამოშვებულ იქნა აუდიტის დასკვნები. საპენსიო სააგენტოს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი განხორციელდა IPSAS შესაბამისად, ხოლო საპენსიო ფონდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი განხორციელდა IFRS-ის შესაბამისად. აღნიშნული აუდიტის დასკვნები განთავსებულია საპენსიო სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

6. უცხოური გამოცდილების შესწავლა და დონორი ორგანიზაციების დახმარება

მიმდინარეობს ინტენსიური თანამშრომლობა და კონსულტაციები საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ექსპერტებთან, მათ შორის, საფრანგეთის განვითარების სააგენტოს, აზიის განვითარების ბანკის, მსოფლიო ბანკის, ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტებთან. მსოფლიო ბანკის ექსპერტების დახმარებით მოხდა სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების სტრატეგიის მიმართულების შემუშავება, რომელიც სააგენტოს დაეხმარება საერთაშორისო სტანდარტების ინფორმაციული ტექნოლოგიების სტრატეგიის შექმნაში.

7. COVID 19

საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით საპენსიო სააგენტოს მიერ გატარებულ იქნა მთელი რიგი ღონისძიებებისა, კერძოდ 2020 წლის 13 მარტიდან, საპენსიო სააგენტო გადავიდა დისტანციური მუშაობის რეჟიმზე, რაც მოიცავდა შემდეგ ღონისძიებებს:

- მონაწილეების და საპენსიო სქემაში რეგისტრირებული დამსაქმებლებისა და თვითდასაქმებულების ასევე ნებისმიერი სხვა დაინტერესებული პირის განცხადებების მიღება წარმოებდა ფოსტის, ასევე შემდეგი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით - info@pensions.ge, გარდა „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლით გათვალისწინებული დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გასვლის უფლებით სარგებლობასთან დაკავშირებული განცხადებებისა, რომლებიც საჭიროებდა პიროვნების იდენტიფიკაციას.
- ამასთან, დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ეძლეოდათ, საპენსიო სააგენტოსთან კომუნიკაცია განეხორციელებინათ საპენსიო სააგენტოს ცხელი ხაზის მეშვეობით. მონაწილეთა მომსახურების განყოფილების თანამშრომლები, ცხელი ხაზის მეშვეობით მონაწილეებს ემსახურებოდნენ საკუთარი საცხოვრებელი ადგილებიდან.

ზემოთ განსაზღვრული ღონისძიებების დამატებით, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 ნოემბერის №699 დადგენილებით საჯარო დაწესებულებების მიმართ განსაზღვრული დამატებითი შეზღუდვების (წესის მე-7 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები) გათვალისწინებით, საპენსიო სააგენტოს მიერ 2021 წლის 2 თებერვალს, სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებით შეტანილ იქნა ცვლილებები საპენსიო სააგენტოს რიგ ნორმატიულ აქტებში.

8. ძირითადი სტატისტიკური მონაცემები 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით:

სულ უნიკალური მონაწილე (2019 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 30 ივნისის ჩათვლით რეგისტრირებული)	**1,166,737**
კერძო სექტორი	907,444
საჯარო სექტორი	259,293
სულ უნიკალური გასული	**168,036**
კერძო სექტორი	125,437
საჯარო სექტორი	42,599
დანიშნული პენსიები	**877**
ასაკით	373
შშმპ	363
ქვეყნის დატოვება	1
მემკვიდრე	140
მლნ ლარი	
სულ ფონდის ღირებულება	**1,550.4**
მათ შორის დარიცხული სარგებელი	173
სულ უნიკალური მონაწილე (2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 30 ივნისის ჩათვლით რეგისტრირებული)	**60,143**
კერძო სექტორი	54,280
საჯარო სექტორი	5,863
სულ უნიკალური გასული	**849**
კერძო სექტორი	793
საჯარო სექტორი	56
დანიშნული პენსიები	**263**
ასაკით	107
შშმპ	101
ქვეყნის დატოვება	-
მემკვიდრე	55